ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 231

15 ივნისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა №18-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.026.01.009; №01.14.16.008.026.01.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა №18-ში (საკადასტრო კოდები: №01.14.16.008.026.01.009; №01.14.16.008.026.01.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის №21.761.856 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა №18-ში, პირველ სართულზე მდებარე 63.74 კვ.მ. ბინა №9-ისა და 14.94 კვ.მ. ბინა №8-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.026.01.009; №01.14.16.008.026.01.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნელი ცინცაძისთვის (პ/ნ. 46001020535) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე